აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 18

18/09/2024 ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის საარჩევნო სუბიექტის „სამართლიანობისთვის“ წარმომადგენლის რეგისტრაციაში გატარების შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 49-ე მუხლის მე-3, მე-6, მე-9 და მე-11 პუნქტების, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 74-ე მუხლის მე-10 პუნქტის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტის „სამართლიანობისთვის“ თავმჯდომარის მიერ 2024 წლის 18 სექტემბერს წარმოდგენილი (უსკოში რეგისტრაციის №01-26/88) განცხადების საფუძველზე, **ვადგენ:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტის, **„სამართლიანობისთვის“** წარმომადგენლად რეგისტრაციაში გატარდეს **სალომე მახარაძე.**

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პარმენ ჯალაღონია
თავმჯდომარე